# სალომე ზურაბიშვილი: "საქართველო ფრანგი ხალხის გვერდითაა"




**პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში გაჩენილ ხანძარს საქართველოს პრეზიდენტი ეხმიანება.**

> *„თვალს ვადევნებ საშინელ ხანძარს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. საქართველო ფრანგი ხალხის გვერდითაა“, — წერს სალომე ზურაბიშვილი Twitter-ზე.*

მანამდე პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში გაჩენილ ხანძარს მსოფლიო ლიდერები გამოეხმაურნენ.
ტელეკომპანია BBC-ის ინფორმაციით, ხანძრის შედეგად განადგურდა ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ჯვრის ფორმის გუმბათი და მასზე აღმართული ერთ-ერთი შპილი. ხანძარი არ შეხებია ტაძრის წინა, დასავლეთ ნაწილში მდებარე მრგვალ სარკმელს — ვარდულს და ორ მთავარ კოშკს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ნოტრ-დამის აღდგენის პირობა დადო. მისი თქმით, ტაძრის რესტავრაციის შემოწირულობისთვის ანგარიში გაიხსნება.

წინასწარი ცნობით, ხანძრის გამომწვევ მიზეზად ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები სახელდება,